განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

განცხადება

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით

13 ნოემბერი, 2019 წელი

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით, საზოგადოებას, პროფესიულ წრეებსა და პოლიტიკურ სპექტრში არსებული საერთო კონსესუსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭიროს საკონსტიტუციო ცვლილებას 2020 წელს შერეული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, მიიღოს ეს გადაწყვეტილება, და რამდენიმე თვის წინ დაწყებული პროცესი წარმატებით მიიყვანოს ბოლომდე.